წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 23

ქ. წალკა; 23.07.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნები დადგენილების პროექტზე "წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ";

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნები განკარგულების პროექტზე "წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)";

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების N-NAT250010490) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჯეო ბილდ გრუპთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

5. საკრებულოს წევრის ლოლა ახალაძის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების ცნობად მიღება.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნები დადგენილების პროექტზე “წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ”. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი “წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ” შეტანილ იქნეს მ/წლის 31 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნები განკარგულების პროექტზე “წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)”. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად განკარგულების პროექტი “წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)” შეტანილ იქნეს მ/წლის 31 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6

დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეტანილ იქნეს მ/წლის 31 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

4. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების N-NAT250010490) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჯეო ბილდ გრუპთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: “წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიებს და საკრებულოს ფრაქციებს განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 31 ივლისისა საკრებულოს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

5. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს წევრის ლოლა ახალაძის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების ცნობად მიღება. რის შემდეგად ბიუროს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს წევრის ლოლა ახალაძის აღნიშნულ კომისიებში გაწევრიანება;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი* *ი.გიგინეიშვილი*